EQUALITY MOVEMENT

# თანასწორობის მოძრაობის საქმიანობის ანგარიში

2025

WWW.EQUALITY.GE

# აღმასრულებელი დირექტორის წერილი

„თანასწორობის მოძრაობის" წლიური ანგარიშისთვის შესავალი სიტყვის დაწერა განსაკუთრებულად რთულ დროს მიწევს. საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორის, დამოუკიდებელი მედიის და ყველა იმ ინსტიტუციის ბედი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ ბუნებას განსაზღვრავდნენ, ასეთი ბუნდოვანი აქამდე არასდროს ყოფილა.

„რუსულ კანონებად" სახელდებული ანტიდემოკრატიული, ჰომოფობიური, ტრანსფობიური ცენზურის დამწესებელი კანონების მოქმედების გამო, გასული წელი გამოწვევებით იყო სავსე, თუმცა **2025** წელს „თანასწორობის მოძრაობამ" სხვა არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მსგავსად, შესაძლებლობების ზღვარზე იმუშავა და მაინც შეძლო იმ ამოცანების შესრულება, რასაც „თანასწორობის მოძრაობა" ეფუძნება და მას საქართველოში და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლგბტქ+ თემზე მზრუნველ ყველაზე დიდ ორგანიზაციად აქცევს.

სწორედ გასულ წელს გახდა ჩვენი ორგანიზაცია რეპრესიული კანონმდებლობის ერთ-ერთი სამიზნე, როდესაც **2025** წლის სექტემბერში გამკაცრებული და ამ გამკაცრების გამო საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო „გრანტების შესახებ" კანონის გამოყენებით ანტიკორუფციულმა ბიურომ ორგანიზაციების მონიტორინგი დაიწყო და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაცია გამოითხოვა. მაშინ, როცა უკანონოდ დაწყებული მონიტორინგი დასრულებულიც არ არის, ცნობილი გახდა, რომ კანონი რომლის საფუძველზეც ანტიკორუფციული ბიურო „თანასწორობის მოძრაობის" საქმიანობით დაინტერესდა, კიდევ უფრო მძიმდება და მისი ახალი დებულებების დარღვევა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაცვლად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ამგვარი წინაღობების მიუხედავად, სიამაყით მინდა, ვთქვა, რომ კვლავ შევძელით, ჩვენი ბენეფიციარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო სერვისები უწყვეტად, უფასოდ და ანონიმურად მიგვეწოდებინა, მეტიც, რიგ შემთხვევაში, ზოგიერთი სერვისი გავაფართოვეთ კიდეც. მაგალითად, პრეპ-ის პროგრამაში, რომელიც აივ ინფექციის გავრცელების პრევენციას ისახავს მიზნად, **2025** წელს **513** ახალი ბენეფიციარი ჩაერთო, ჯამში კი ექიმ ინფექციონისტისგან კონსულტაცია, ანალიზები და პრეპ-ის მედიკამენტი გასულ წელს **2158** ბენეფიციარმა მიიღო.

ჯანდაცვის სერვისების გარდა, „თანასწორობის მოძრაობა” ზრუნავდა ლგბტქ+ საკითხების ადვოკატირებისა და თემის მხარდამჭერი გარემოს ფორმირებისთვის, ისევე როგორც თავად „თანასწორობის მოძრაობის” ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარებისთვის.

ჩვენი საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა „თანასწორობის მოძრაობის” სტრატეგიული პარტნიორები მხარდაჭერის გარეშე. განსაკუთრებით მინდა, გამოვყო, მათ მზაობა და მოქნილობა, რომელიც ახალ რეალობასთან გასამკლავებლად ხშირად გადამწყვეტი იყო. წლევანდელი მიღწევები ასევე შეუძლებელი იქნებოდა „თანასწორობის მოძრაობის” გუნდის გარეშე, ვინც რისკის ფასად აგრძელებდა თემის გასაძლიერებლად ყოველდღიურ მუშაობას. ამ მედეგობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა თემის წევრების ნდობის გარეშე. სწორედ თქვენი მხარდაჭერა იყო იმის მტკიცებულება, ვისთვის ვშრომობთ და რატომ არის „თანასწორობის მოძრაობის“ არსებობა და მისი ფუნქციონირება მნიშვნელოვანი. ამისთვის კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას.

მიხეილ მეფარიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

# 2025 წლის ერთიანი ორგანიზაციული სტატისტიკა

| | |
|---|---|
| სამოქმედო მიზანი | 4 |
| თანამშრომელთა რაოდენობა | 36 |
| რეგიონული სათემო ოფიცერი | 5 |
| პროექტი | 13 |
| აივ-ისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების პრევენციისთვის აუცილებელი საბაზისო საშუალებების პაკეტით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა | 12 665 |
| აივ ინფექციაზე და სქესობრივი გზით გადამდებ სხვა ინფექციებზე (ვირუსული ჰეპატიტები (B და C) და სიფილისი) ნებაყოფლობითი კონსულტაციისა და ტესტირების სერვისით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა | 8 247 |
| აივ-ის პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკის (PrEP) პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა | 484 |
| ფსიქოლოგის და ფსიქიატრის კონსულტაცია და ფსიქოთერაპია | 132 |
| სოციალური მუშაკის მომსახურება | 367 |
| იურისტის მომსახურება | 230 |
| სტრატეგიული სამართალწარმოების საქმე | 1 |
| საინფორმაციო / საგანმანათლებლო, პრევენციულ შეხვედრებზე დამსწრე ბენეფიციარების რაოდენობა | 483 |

# 2025 წლის სტრატეგიული მიზნები და მათი მიმოხილვა

# ლგბტქ+ თემის წევრების უზრუნველყოფა ჯანმრთელობის, ფსიქო-სოციალური და სამართლებრივი სერვისებით

## სამედიცინო კომპონენტი

ორგანიზაციის საქმიანობის ეს ძირითადი მიმართულება პასუხობს აივ/სგგი-ის პრევენციის არსებულ საჭიროებებს და ემყარება თემზე დაფუძნებულ მიდგომებს. ჰომოფობია, ტრანსფობია და აივ სტატუსთან დაკავშირებული სტიგმა/დისკრიმინაცია ხშირად ზღუდავს სერვისებზე ხელმისაწვდომობას, რაც ზრდის მიზნობრივ ინტერვენციებზე მოთხოვნას. პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო რეკომენდაციებს/გაიდლაინებს (WHO) და აერთიანებს პრევენციის, ტესტირების, კონსულტირების, სოციალური მხარდაჭერისა და კომუნიკაციების კომპონენტებს. მისი მიზანია აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია მსმ პოპულაციაში საქართველოს შვიდ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი, გორი, რუსთავი) თემის აქტიური ჩართულობით: ინფორმირების, კონსულტაციის და პრევენციულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. ინტერვენცია განხორციელდა როგორც სათემო ცენტრების ბაზაზე, ისე საველე და ონლაინ აუთრიჩის გზით. პროექტი წარმოადგენს ფართომასშტაბიან ინტერვენციას და იყენებს მრავალკომპონენტიან მეთოდებს, მათ შორის:

- მინიმალური/საბაზისო პრევენციული პაკეტით უზრუნველყოფას (რისკის შეფასება, კონსულტაცია, პრევენციული საშუალებების (კონდომები/ლუბრიკანტები) მიწოდება);
- ნებაყოფლობით კონსულტაციასა და სწრაფ, მარტივ ტესტირებას (აივ და სგგი);
- აივ-თვითტესტებით უზრუნველყოფას;
- სოციალური მუშაკის ჩართულობას, სამედიცინო სპეციალისტების კონსულტაციებს, ფსიქოკონსულტაციას/ფსიქოთერაპიას;
- სოციალურ თანხლებასა და შემთხვევის მართვას;
- თემატური საინფორმაციო მასალების მომზადებას, გავრცელებასა და პრევენციული შეხვედრების ორგანიზებას;
- აივ დადებითი პირების მოძიებას და მკურნალობაზე დამყოლობის მონიტორინგისთვის მობილიზებას.

2025 წელს ექიმ ინფექციონისტისგან კონსულტაცია, ანალიზები და პრეპ-ის მედიკამენტი მიიღო 2158 ბენეფიციარმა.

დაიბეჭდა 18 170 ერთეული სხვადასხვა საინფორმაციო მასალა, მათ შორის, ბრენდირებული მაისურები, წამლის კაფსულები, ჩანთები, ბლოკნოტები, სიტუაციური პრეპ-ის ბუკლეტები, ბანერები, კონდომის კონვერტები და დროშები.

## პრეპ-ის პროგრამა

მიმდინარე წელს პრეპ პროგრამაში ჩაერთო 513 ახალი ბენეფიციარი. ახალი ბენეფიციარი. ორგანიზაციის სათემო ცენტრის ბაზაზე PrEP-ის გაცემის დღეების რაოდენობა გაიზარდა. კერძოდ, მიმდინარე წლის 1 მაისიდან სათემო ცენტრში ექიმ ინფექციონისტის მომსახურებას და მედიკამენტს ბენეფიციარები კვირაში ორჯერ იღებდნენ. პროგრამამ ასევე მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარებას, პარტნიორი კომპანიის მეშვეობით ბენეფიციარებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ფსიქოლოგისგან და ფსიქიატრისგან უწყვეტი მხარდაჭერა.

სიფილისზე ცნობიერების ამაღლების კამპანია „თანასწორობის მოძრაობამ" ბრიტანულ ორგანიზაციასთან, The love tank-თან, თანამშრომლობით დაიწყო. კამპანიისთვის დამზადებული მასალები ცნობილი ბრიტანული კამპანიის ქართული ანალოგია.

## ფსიქოსოციალური და სამართლებრივი კომპონენტი

ამ კომპონენტის ფარგლებში ორგანიზაციის მიზანი იყო თემის წევრებზე მორგებული ფსიქო-სოციალური სერვისების განვითარება, ორგანიზაციული და თემის წევრების სამართლებრივი მხარდაჭერა. იურიდიულმა გუნდმა სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია 230-მდე ბენეფიციარს. წლის განმავლობაში იურიდიულმა გუნდმა 96 ახალ საქმეზე იმუშავა, ხოლო, საერთო ჯამში, წინა წლების სამართლებრივი საქმეების ჩათვლით, 136 საქმეზე გაწია სამართლებრივი მომსახურება, რაც მოიცავდა: პოლიციაში განცხადებების წარდგენას, საჩივრის დაწერას, სარჩელების წარმოებას და ა.შ. საქმეებში ჭარბობდა შემდეგი კატეგორიები:

- ადმინისტრაციული/სამოქალაქო: 66 საქმე
- ძალადობა/მუქარა: 30 საქმე;
- ოჯახში ძალადობა: 4 საქმე;
- შრომის უფლების დარღვევა: 3 საქმე;
- სხვა: 33 საქმე

ორგანიზაციის სოციალური მუშაკებმა მომსახურება გაუწიეს, დაახლოებით, 400-მდე ბენეფიციარს, აქედან 100-მდე ბენფიციარი შესაბამისი სერვისების მისაღებად ფსიქოლოგთან და ფსიქიატრთან გადამისამართდა. მნიშვნელოვანია, რომ ბენეფიციართა მომართვიანობა მზარდია და ყოველთვიურად სერვისების საჭიროება უფრო და უფრო იზრდება. ბენეფიციართა მომართვიანობისა და კონსულტაციების შედეგად იკვეთება, რომ ლგბტქ+ თემის წევრების ფსიქო-სოციალური, ჯანმრთელობისა და სამართლებრივი მდგომარეობა დღითიდღე უფრო უარესდება: თემის წევრები განიცდიან ჩაგვრასა და დისკრიმინაციას, არიან ძალადობის მსხვერპლები, აქვთ განათლებასთან, სამსახურის ძიებასთან დაკავშირებული სირთულეები და სხვ.

ჯანმრთელობის, ფსიქო-სოციალური და სამართლებრივი სერვისებით ლგბტქ+ თემის წევრების უზრუნველყოფის პროგრამას ჰყავდა 7 დონორი:

1 ლგბტქ+ თემის გაძლიერება და მობილიზაცია – დაფინანსებულია შვედური ასოციაციის სქესობრივი განათლებისთვის (RFSU) მიერ;
2 ადამიანის უფლებები და მედეგობა – დაფინანსებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის (GIZ) მიერ;
3 ფსიქიკური ჯანმრთელობა მნიშვნელოვანია: რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდა ლგბტქი პირების სამოქალაქო ჩართულობისთვის მყარი საფუძვლის შექმნა – დაფინანსებულია ევროკავშირის (EU4Youth) მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდთან (GIZ) პარტნიორობით;
4 მწვანე მომავალი, უფლებებისა და სტაბილურობის გაძლიერება: აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ინკლუზიური და მწვანე ტრანზიციის ხელშეწყობა ეფექტიანი და პასუხისმგებლობიანი მმართველობის გზით – დაფინანსებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ;
5 საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება – დაფინანსებულია აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ;
6 დინების წინააღმდეგ — საქართველოს ლგბტქ+ თემის ურყევი მხარდაჭერა – დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის მიერ;
7 Queer TM - ტრავმა და მიგრაცია – ქვიარ თემის ორგანიზაციების რეგიონული თანამშრომლობა სოციალური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი სერვისების გაუმჯობესებისთვის – დაფინანსებულია შვედეთის ინსტიტუტის მიერ.

## ლგბტქ+ თემის წევრთა მობილიზაცია, გაძლიერება და ინტეგრაცია

2025 წელს ორგანიზაციამ ჩაატარა „თანასწორობის სკოლა", რომლის მთავარი ფოკუსი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები იყო: ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და სხვა. დამატებით, სკოლაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 40-მდე მონაწილემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ასევე პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციის ბაზაზე შედგა „თანასწორობის აკადემია" სადაც ჩართული იყო 50-მდე თემის წევრი. მიმდინარე წლის თემა იყო ქვიარ აქტივიზმი და მასთან დაკავშირებული ისტორიები. აკადემიაში მოწვეულ სპიკერებთან ერთად ჯამში 10 სესია ჩატარდა.

2025 წლის განმავლობაში „თანასწორობის მოძრაობამ” 5 ტრენინგი ჩაატარა, რომელშიც 140-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ტრენინგები მიზნად ისახავდა, ლგბტქ+ თემის წევრებს, მხარდამჭერებისა და საკვანძო პროფესიული ჯგუფების ცნობიერების ამაღლებასა და გაძლიერებას სამედიცინო, ფსიქო-სოციალურ, სამართლებრივ და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით.

„თანასწორობის მოძრაობამ” გამართა „თანასწორობის პიკნიკის” სამი გასვლითი შეხვედრა ბუნებაში - ღია ცის ქვეშ. რეკრეაციულ გარემოში ჯანსაღი პრაქტიკების წახალისებით აქტივობის მიზანს თემის მობილიზება და ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა. მონაწილეებმა საკუთარი ძალები გამოცადეს ჯომარდობაში, ზიპლაინსა და სხვა ჯგუფურ აქტივობებში. სამივე შეხვედრას სულ დაესწრო 300-მდე ადამიანი.




„თანასწორობის მოძრაობის” მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ამსახველი ფოტოები და ილუსტრაცია

გაერთიანებასთან „Eau de Cologne” თანამშრომლობით, წლის განმავლობაში, მარტში, აპრილსა და დეკემბერში გაიმართა შეხვედრების სერია. 31 დეკემბერს ჩატარდა საახალწლო ღონისძიება „თანასწორობის მოძრაობის” სათემო ცენტრის ბაზაზე. ოთხივე ღონისძიებას ჯამურად დაესწრო 900 ბენეფიციარი.

გაიმართა პაციენტთა 6 სკოლა, რომლის ფარგლებშიც, ექვსმა ექიმმა (მაია ბუწაშვილმა, ნინო რუხაძემ, ზურა ალხანიშვილმა, ნინო მარხვაშვილმა, ქეთი მშვიდობაძემ და გივი ღვინჯილია) ჩაატარა შეხვედრები სხვადასხვა სამედიცინო საკითხთან დაკავშირებით. შეხვედრებს ჯამურად 120 ბენეფიციარამდე დაესწრო.

2025 წლის 31 მარტს „თანასწორობის მოძრაობის" სათემო ცენტრში ჩატარდა ტრანს ხილვადობის დღისადმი მიძღვნილი სათემო შეხვედრა. შეხვედრა დაეთმო ფოტოგრაფ დადუ კალანდაძის ფოტოგამოფენას, სახელწოდებით „სარკევ, სარკევ". ღონისძიებას დაესწრო 30-მდე ტრანს ადამიანი და 50-მდე მხარდამჭერი.

„თანასწორობის მოძრაობამ" დეკემბრის თვეში გამართა აკადემიური კონფერენცია „ქვიარ ხმები საქართველოდან და საზღვარგარეთიდან". კონფერენციამ თავი მოუყარა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიელ აქტივისტებს, რომლებმაც ქვიარ მიგრაციის სამართლებრივი, სოციალური და აფექტური განზომილებები განიხილეს. ამ საკითხებზე მსჯელობისას შეეხნენ ის საკვანძო საკითხებს, რომელიც რეგიონის ქვეყნებისთვის საერთოა. თემატური რეფლექსიისთვის ამავე კონფერენციამ უმასპინძლა სახელოვნებო პროექტებსაც.

2025 წლის განმავლობაში თანასწორობის მოძრაობამ აქტიურად იმუშავა ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში თანამშრომლობს ჩამოყალიბებისთვის. წამოწყების მიზანია ცოდნის გაცვლა რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის, რათა ქვიარ მიგრაციასა და მასთან დაკავშირებულ ტრავმას მომზადებული შეხვდნენ.

1 დინების წინააღმდეგ — საქართველოს ლგბტქ+ თემის ურყევი მხარდაჭერა – დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის მიერ;
2 Queer TM - ტრავმა და მიგრაცია – ქვიარ თემის ორგანიზაციების რეგიონული თანამშრომლობა სოციალური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი სერვისების გაუმჯობესებისთვის – დაფინანსებულია შვედეთის ინსტიტუტის მიერ;
3 ქვიარ კონტექსტი — ახალი ხმები საქართველოდან და არამხოლოდ – დაფინანსებულია დანიის ახალი დემოკრატიის ფონდის მიერ
4 უფლებები და მედეგობა: საქართველოს LGBTIQ+ თემის გაძლიერება ინკლუზიაზე დაფუძნებული ცვლილებებისთვის – დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ

## ლგბტქ+ თემისთვის თანასწორი და მხარდამჭერი გარემოს ფორმირება

„თანასწორობის მოძრაობამ" 17 მაისისთვის (IDAHOBIT— ჰომოფობიის, ბიფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე) განახორციელა კამპანია „გავერთიანდეთ". ვიდეო კამპანია გამოქვეყნდა ორგანიზაციის სოციალურ ქსელებში — Facebook, Instagram, TikTok და YouTube არხებზე. კამპანიის გზავნილი — ჰომოფობიისა და ტრანსფობიის გარეშე გაერთიანებული სახელმწიფო, ოჯახები და საზოგადოება — ნახა 163 000-მა მომხმარებელმა. წლის განმავლობაში „თანასწორობის მოძრაობამ" შექმნა 3 ვიდეო, რომელიც შეეხებოდა ხშირად დასმულ კითხვებს PEP-ის, PrEP-ისა და ვაქცინაციების შესახებ. ასევე კონტენტკრეატორებთან თანამშრომლობით მომზადდა 6 მცირემეტრაჟიანი ვიდეორგოლი პეპ-ის შესახებ.

კადრი 17 მაისის კამპანიის ფარგლებში მომზადებული ვიდეორგოლიდან

2025 წლის 1 დეკემბერს „თანასწორობის მოძრაობის" ინიციატივითა და ორგანიზებით, ჩატარდა აივ/შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია სახელწოდებით „ჯანმრთელობის ახალი პარადიგმა: თანასწორობა, ინოვაცია, ინკლუზიურობა". კონფერენციამ გააერთიანა აივ/შიდსის პრევენციის საკითხებზე მომუშავე მხარეები: სახელმწიფო ინსტიტუციების, აკადემიის, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების უკიდურესად დასუსტების, ანტი-ლგბტ კანონმდებლობის არსებობისა და პოლიტიკური ჰომო-ტრანსფობიის რადიკალიზების ფონზე, „თანასწორობის მოძრაობა" მოკლებული იყო შესაძლებლობას აქტიური ნაბიჯები გადაედგა ლგბტქ+ პირების უფლებების დაცვის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. საანგარიშო პერიოდში წარმოშობილი წინააღმდეგობები უკავშირდებოდა, როგორც სამოქალაქო ქსოვილის სისტემური რღვევის პრაქტიკას, ამასთან, ლგბტქ+ ჯგუფის უფლებათა შეზღუდვისა და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების მიზანმიმართულ პოლიტიკას. ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ, პრაქტიკულად, მოარღვია სივრცე ლგბტქ+ პირების უფლებების დაცვის გაუმჯობესებაზე მიმართული სტრატეგიული ადვოკატირებისთვის ადგილობრივ დონეზე.

გამოწვევათა სიმრავლის მიუხედავად, 2025 წლის განმავლობაში ორგანიზაცია განაგრძობდა საქმიანობას ლგბტქ+ პირების საჭიროებათა შესწავლის, უფლებების დარღვევის შემთხვევათა მონიტორინგის, საერთაშორისო ანგარიშგების, ცვლილებების სამართლებრივი ანალიზისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

შიდსის კონფერენცია, 2025



2025 წლის განმავლობაში „თანასწორობის მოძრობამ" მონაწილეობა მიიღო ლგბტქ+ პირების უფლებათა დაცვის ხელშეწყობაზე მიმართულ სამუშაო შეხვედრებსა და კონფერენციებში. ამასთან, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქსელების მიერ გამოცემული იმ ანგარიშების შემუშავებაში, რომლებიც აფასებენ ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ადგილობრივ, რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე. მათ შორის აღსანიშნავია:

## ILGA-EUROPE ANNUAL REVIEW 2025

ILGA-Europe-ს პუბლიკაცია მიმოიხილავს ლგბტქ+ ადამიანების უფლებრივ მდგომარეობას ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. ანგარიშის მიზანია, აღწეროს ლგბტქ+ პირების უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული პროგრესი და გამოწვევები, რათა ხელი შეუწყოს ხელისუფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. ანგარიშის მე-14 გამოცემის მომზადების პროცესში, რომელიც აჯამებს 2024 წელს მომხდარ მოვლენებს, „თანასწორობის მოძრაობა" ჩართული იყო საქართველოს შესახებ არსებული თავის შემუშავებაში. მოცემული თავი, მიმოიხილავს ლგბტქ+ პირების უფლებების დაცვის გაუარესებას საქართველოს კანონმდებლობაში, ამასთან, აღწერს იმგვარ მწვავე პრობლემებს, როგორიცაა დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, გენდერის სამართლებრივი აღიარების აკრძალვა და შეზღუდული წვდომა განათლებაზე, ჯანდაცვასა და სხვა საჭირო სერვისებზე.

## IGLYO LGBTQI INCLUSIVE EDUCATION MAP, INDEX & REPORT 2025

IGLYO's LGBTQI Inclusive Education Report წარმოადგენს ლგბტქ+ ინკლუზიური განათლების მდგომარეობის ყოვლისმომცველ მიმოხილვას ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში. ანგარიშის მიზანს წარმოადგენს, გამოყენებული იქნეს, როგორც რესურსი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების ლგბტქ+ ინკლუზიურობის ხარისხის შესაფასებლად, შემდგომში, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის. ანგარიშის მე-3 გამოცემის ფარგლებში, რომელიც 2022 წლიდან 2025 წლამდე მომხდარ მოვლენებს აფასებს, „თანასწორობის მოძრაობამ" საქართველოს შესახებ არსებული თავის მომზადებაში მიიღო მონაწილეობა.

ანგარიშში თავმოყრილ პროგრესსა და გამოწვევებზე დაყრდნობით, ასევე განახლდა The LGBTQI Inclusive Education Index, რომელიც წარმოადგენს ქვეყნებს შორის განათლებასთან დაკავშირებული ინდიკატორების შედარების ცხრილს. რუკის თანახმად, საქართველოს მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულია, კერძოდ, ის – 10 ქულით არის შეფასებულ, რაც რუკაზე ერთ-ერთ ყველაზე ცუდ შედეგს წარმოადგენს და ქვეყნების საშუალო ქულას დაახლოებით 40 ერთეულით ჩამორჩება.

## LGBTI ENLARGEMENT REVIEW 2024

ILGA-Europe და ERA – the LGBTI Rights Association for the Western Balkans and Turkey-ს მიერ გამოქვეყნებული ანგარიში აფასებს ლგბტქ+ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, კანონმდებლობასა და პოლიტიკაში არსებულ ხარვეზებს ევროკავშირის გაფართოების კანდიდატ ქვეყნებში. „თანასწორობის მოძრაობამ" მონაწილეობა მიიღო საქართველოს შესახებ არსებული მიმოხილვის მომზადებაში, რომელიც აჯამებს 2024 წელს განხორციელებულ საგანგაშო ცვლილებებს კანონმდებლობაში, მანამდე არსებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ევროკავშირის მიმართ.

## OSCE/ODIHR HATE CRIME REPORT 2024

ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს, 16 ნოემბერს, ეუთოს (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) ყოველწლიურად აქვეყნებს წევრ ქვეყნებში მომხდარი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ინფორმაციას. მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების მიზანია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის, მიზნობრივი პოლიტიკისა და მსხვერპლებზე მორგებული მხარდაჭერის შემუშავების ხელშეწყობა. ეუთო/ოდირმა 2024 წლის განმავლობაში საქართველოში მომხდარი 17 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინციდენტის შესახებ გამოაქვეყნა ინფორმაცია. მათ შორის, 5 შემთხვევის შესახებ ინფორმაცია „თანასწორობის მოძრაობამ" წარადგინა.

## UNIVERSAL PERIOD REVIEW (UPR) ON GEORGIA

გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მე-4 ციკლის ფარგლებში, „თანასწორობის მოძრაობამ" სხვადასხვა ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ორი ჩრდილოვანი ანგარიში წარადგინა. მათ შორის, ერთი მომზადდა ადგილობრივი ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციების კოალიციის მიერ ILGA-World-თან თანამშრომლობით. ანგარიში აფასებს ლგბტქ+ პირების უფლებრივ მდგომარეობასა და SOGIESC-თან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებას 2022-2025 წლების შუალედში. მეორე ანგარიში მომზადდა „თანასწორობის მოძრაობის", „თბილისი პრაიდისა" და ECOM – Eurasian Coalition on Health, Rights, Gender and Sexual Diversity-ის კოლაბორაციით და ლგბტქ+ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას სხვა თანამკვეთ საკითხებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობის უფლების განხორციელების საკითხს.

---

ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენის გარდა, „თანასწორობის მოძრაობის" სტრატეგიული ადვოკატირების ოფიცერი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჟენევაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ILGA-World-ისა და Human Rights House Foundation (HRHF)-ის მიერ ორგანიზებულ საადვოკაციო აქტივობებსა და UPR-Info-ს მიერ ორგანიზებულ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) პრესესიაში.

საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის „დინების წინააღმდეგ — საქართველოს ლგბტქ+ თემის ურყევი მხარდაჭერა" ფარგლებში ჩატარდა თემის წევრების საჭიროებების და სერვისებზე ხელმისაწვდომობის კვლევა, სადაც გამოიკვეთა ყველა ის გამოწვევა, რომელიც დღევანდელ რეალობაში ქვეყანაში მცხოვრებ ლგბტქ+ ადამიანებს უდგათ.

ამ მიმართულების ფარგლებში განხორციელებული პროექტები და დონორები:

1 უფლებები და მედეგობა: საქართველოს LGBTIQ+ თემის გაძლიერება ინკლუზიაზე დაფუძნებული ცვლილებებისთვის – დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ;
2 საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება – დაფინანსებულია აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ;
3 დინების წინააღმდეგ — საქართველოს ლგბტქ+ თემის ურყევი მხარდაჭერა – დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის მიერ

EQUALITY MOVEMENT

www.equality.ge